შეთანხმების ფურცელი

"საქართველოსა და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ" 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების პირობების საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისზე გავრცელების შესახებ" წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების თაობაზე

კომპეტენტურ უწყებათა მიერ წარმოდგენილი პოზიციების შეჯერებასთან დაკავშირებით

№	უწყება	შენიშვნები და წინადადებები	გათვალისწინება
1.	იუსტიციის სამინისტრო	შეთანხმების პროექტის სათაურიდან გამომდინარე, მის მხარეს წარმოადგენს „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია" (გაერო). ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული გარემოება მკაფიოდ აისახოს როგორც შეთანხმების პროექტის ტექსტში, ისე მასზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთან მიმართებით და, შესაბამისად, შეთანხმების პროექტის ფარგლებში განისაზღვროს, რომ ხელშეკრულების მხარეა „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია" (გაერო), წარმოდგენილი „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისის" (UNOPS)/შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.	გათვალისწინებულია
		„ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების" (SBAA) „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე" (UNOPS) გავრცელებასთან დაკავშირებით, დაზუსტებას საჭიროებს „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისის" (UNOPS) სამართლებრივი სტატუსი, მათ შორის, წარმოადგენს თუ არა ის „ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულებით" (SBAA) გათვალისწინებულ რომელიმე ორგანოს, მაგალითად, „აღმასრულებელი ორგანო", „დამხმარე ორგანო" და სხვ. შესაბამისად, თუ „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისი" (UNOPS), მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ავტომატურად ექცევა „SBAA"-ს გავრცელების სფეროში, მიზანშეწონილია, შეფასდეს მასზე „SBAA"-ს დამატებით ამ შეთანხმებით გავრცელების საკითხი. ასევე, მიზანშეწონილობის ჭრილში შეფასებას საჭიროებს „გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" კონვენციის „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე" (UNOPS) გავრცელების საკითხიც.	გაეროს გენერალური ასამბლეის 1994 წლის 19 სექტემბრის 48/501 გადაწყვეტილებით, UNOPS არის გაეროს ორგანო, რომელსაც აქვს საკუთარი სამართლებრივი ქმედუნარიანობა. იგი არ განეკუთვნება „ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ორგანოებს. ამავდროულად, წერილების გაცვლის დადების ერთ-ერთი მთავარი მიზანია 1946 წლის კონვენციითა და სტანდარტული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ ყველა პრივილეგიისა და იმუნიტეტის გავრცელება, რომელიც აუცილებელია UNOPS-ის მიერ

			საქართველოში პროექტების შეუფერხებლად განხორციელებისათვის.
		„გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ კონვენციის „საპროექტო მომსახურების გაერო-ს ოფისზე“ (UNOPS) გავრცელების შემთხვევაში, ამ კონვენციით დადგენილი საგადასახადო შეღავათებიდან გამომდინარე, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წარმოდგენილი წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების პროექტი საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	გათვალისწინებულია წერილების გაცვლის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი პროცედურები განხორციელდება პარლამენტის მიერ რატიფიკაციით.
2.	საგარეო საქმეთა სამინისტრო	ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი შეთანხმების დადება.	
3.	ფინანსთა სამინისტრო	პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.	გათვალისწინებული იქნება.
4.	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნები და წინადადებები არ აქვს.	